ესაუბრა თამაზ ბერიძე ჯონი

178

178

დასკანირებულია
16.01.2025 (13)

ლიტერატურული შენიშვნები

ესეც ილიამ თქვა!

ამას წინათ წიგნის ბაზარზე გამოვიდა ბ. კანდელაკის მიერ შედგენილი დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის ბრძნული გამონათქვამების კრებული „სხარტულას“ სახელწოდებით. ეს არის მეორე გამოცემა ამავე ავტორის მიერ შედგენილი ი. ჭავჭავაძის ათორიზმებისა (1957 წლის გამოცემა). კრებულში მოთავსებული მასალა ავტორს ამოუკრებია ი. ჭავჭავაძის ათტომეულიდან.

პირველ გამოცემასთან შედარებით შემდგენელს ბევრი ცვლილება შეუტანია კრებულში. პოეტის ზოგი გამონათქვამი ამოუღია. ზოგიც ჩაუმატებია. თუმცა ეს საშოშაო მას ბოლომდე არ მიუყვანია. წიგნაკში ზოგი რამ კვლავ ამოსაოებია. მაგალითად, თანამედროვე ადამიანის გონებას ვერაფერს მატებს და მოძველებულია ასეთი გამოთქმა: „დღის ცარიელი მკლავი იმოდენად ველარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე“.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. შემდგენელს ი. ჭავჭავაძის ზოგიერთი ბრძნული აზრი და გამოთქმა გამორჩენია. მაგალითად, დიდ ილიას იქუთვნის ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით დაწერილი ეს სიტყვებიც: „დიდად საგრძნობელს თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდის, ისეთი ბოლო და ზემოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს ხასს, პატარა კი ცრემლს ადენს: დიდ სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი ღიმილი: დიდი გულისთქმა, ჩუმმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა კი ყბედი და ლაქლაქა“. (ი. ჭავჭავაძე, ტ. 3, გვ. 172).

ესეც ილიამ თქვა: „მტერობა ენის. არს მტრობა ქვეყნის“. (ი. ჭავჭავაძე. ტ 1, გვ. 97). ასეთმა ბრძნულმა გამონათქვამებმა აუცილებლად უნდა დაიკავონ თავისი ადგილი ილიას ბრძნულ სიტყვაობაში.

დაუდევრობით რატომ უნდა გავაღარიბოთ დიდი მწერლის ბრძნულ აზრთა სალარო?

ეტლში, თუ მატარებელში?

ამ რამდენიმე ხნის წინათ (1960 წ.) გამოვიდა ფ. ნიშნიანიძის ბროშურა „გალაკტიონის რამდენიმე შეხვედრა საქართველოს მშრომელებთან“.

მოჰყავს რა გ. ტაბიძის ცნობილი ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში“ (გვ. 19), ავტორი წერს: „ცნობილია, რომ პოეზიის ეს შედევრი გალაკტიონმა დაწერა პაპიროსის კოლოფზე, როცა იგი ეტლით წყალტუბოდან ქუთაისისაკენ მიემგზავრებოდა. შემდეგ დააციწყდა, რომ ზედ ლექსი დაწერა: გადააგდო კოლოფი, რომელიც შემთხვევით გამვლელმა იპოვა“...

გალაკტიონის ამავე ლექსის შესახებ იმავე წელსვე (1960 წ.) ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „გალაკტიონის ახლო“ გ. ჩიქობავა წერს: „ქუთაისიდან მატარებლით მომავალმა პოეტმა ვიღაცას პაპიროსის კოლოფზე წაუწერა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“... უცნობმა მგზავრმა ძვირფასი წარწერა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში მიიტანა, იქ გალაკტიონის ხელი იცნეს და დაბეჭდეს. შემდეგ ეს ლექსი ხალხმა აიტაცა და სიმღერად აქცია“. („საბჭოთა ხელოვნება“, 1960 წ. № 2, გვ. 83).

მოდი და გაიგე, სად და როგორ დაწერა გალაკტიონმა ეს ლექსი — ეტლში, თუ მატარებელში?

პოეტის გარდაცვალებიდან ოთხი წელი გვაცილებს და ასეთი შეუსაბამობანი მისი შემოქმედების შესახებ ახლაც უნდა აღიკვეთოს.

„მე და ღამის“ საიდუმლო

1959 წელს მკვლევარმა ა. თოფურიამ გამოაქვეყნა გ. ტაბიძის ნაამბობი „მე და ღამის“ დაწერის საბაბის შესახებ. (იხ. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, გვ. 277, 1959 წელი).

ამ სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით, რომელიც, როგორც ა. თოფურია წერს, შეთანხმებული იყო ავტორთან, გვებულობთ, რომ გ. ტაბიძეს კავშირი ჰქონია ქუთაისის საგუბერნიო ცხებში მჯდარ რევოლუციონერებთან, ერთ-ერთ მათგანს პორტის გულში ჩადებული საიდუმლო წერილი გადმოუცია გ. ტაბიძისათვის. ის ამ საიდუმლოს ინახავდა დიდხანს პოეტი გულში, რაც შემდეგ გამოუყენებია ცნობილი ლექსის „მე და ღამის“ შესაქმნელად.

ამავე მომენტს პოეტის ნაამბობის მიხედვით ფ. ნიშნიანიძე ზემოთ დასახელებულ ბროშურაში ასე გადმოგვცემს: „1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რევოლუციონერთა უმრავლესობის დაპატიმრება გამოიწვია... მე ვცდილობდი დავხმარებოდი პატიმრებს. ხშირად ღამით შეუმჩნევლად მივდიოდი მეტეხის ციხესთან და პოლიტიკურ პატიმართა საკნების გასწვრივ დავდგებოდი...“ ამის შემდეგ მოყვანილია საიდუმლო ბარათის გადაცემის ამბავი.

შესაძლებელია, დიდი პოეტის ლაპსუსლინგვე იყოს ზემოთ დასახელებულ ბროშურაში მოტანილ ამბავში მეტეხის ციხის დასახელება, მაგრამ ფ. ნიშნიანიძეს ხომ კარგად მოეხსენება, რომ ა. ტაბიძე 1905 წელს თბილისში ვერ იქნებოდა და მეტეხის ციხესთან ვერ მივიდოდა, რადგან იგი 1908 წლამდე ქუთაისში ცხოვრობდა და სწავლობდა?!

როცა დიდი ადამიანის ცხოვრების რომელიმე ეპიზოდს ვეხებით, საჭიროა მეტი სიფაქიზისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამოჩენა.

პ. ბერეკაშვილი.

„ახალი ამბების“ სააგენტომ თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის კოსმონავტ ანდრიან ნიკოლაევს, არქტიკის მკვლევარს ივანე პაპანინსა და საზღვაო სასწავლებლის კურსანტს ასტახ ზიმანშინს ეპასუხნათ სამ კითხვაზე:

როდის გამოავლინეთ თქვენ გმირობა?

როგორ აფასებთ ახლა თქვენს ქცევას?

როგორ აღვზარდოთ თავისთავში ვაჟკაცობა?

ჩვენით ვაქვეყნებთ მათ პასუხებს.

ანდრიან ნიკოლაევი

მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი.

თქვენ მეკითხებით: როდის გამოვავლინეთ ვაჟკაცობა და მოელით, რომ მე ვიტყვი კოსმოსში ფრენის დროსთქო. მაგრამ, ჯერ ერთი, მე არ ვიყავი პირველი კოსმონავტი. იური გაგარინისათვის, რომელიც პირველი გაფრინდა, შეუდარებლად უფრო ძნელი იყო ეს საქმე. მეორეც, გაგარინი, ტიტოვი, პოპოვიჩი და შეც იმდენად ვიყავით დარწმუნებული ჩვენი გაფრენის უსაფრთხოებაში, იმაში, რომ ტექნიკა ჩვენ არ გვიღალატებდა, რომ გულახდილად გეტყვით, თითქმის არც ვღელავდით. მე ვამბობ თითქმისთქო, რადგან იმის თქმა, რომ ჩვენ სრულებით არ ვღელავდით, სიყალბე იქნებოდა. ყოველ ახალ საქმეში არის საკმაოდ დიდი თავგანწირვა.

ჩემის აზრით, ნამდვილი ვაჟკაცობა, ეს უწინარეს ყოვლისა, აუღელვებელი სიმშვიდეა, მოსაზრებულობა, შეგეძლოს სწრაფად გაერკვე ახალ სიტუაციაში და მიიღო სწორი გადაწყვეტილება. რამდენიმე წლის წინ მე მქონდა ისეთი შემთხვევა, როცა საჭირო იყო თვითონვე მომეხახა გამოსავალი შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან, მაშინ მფრინავი-გამანადგურებელი ვიყავი. მიმდინარეობდა ჩვეულებრივი საბრძოლო მეცადინეობა. ჩემი მანქანა სწრაფად მიჰქროდა ზევით, უცბად მანქანა „შეშფოთდა“, გაჩერდა ძრავა. თვითმფრინავმა სიმაღლას დაკარგვა იწყო. მანქანა აღარ ემორჩილებოდა საჭეს. განკარგულების ადგილიდან კატაპულტირების წინადადება მომცეს, მაგრამ გადავწყვიტე მეცადა თვითმფრინავის დაჯდომა. მეხანებოდა დასაღუპავად ასეთი შესანიშნავი მანქანა. ჩავრთე საავარიო სისტემა. მივუშვი შასები და ამ დროს შევნიშნე, რომ ავროდრომს უკვე გადაეუქროლე, გავიფიქრე მინდორზე მომიხდება დაჯდომათქო. მიწიდან მიბრძანებენ: — „აკრიფე შასები“, მაგრამ ეს ვერ შევძელი, რადგან სისტემაში წნევა აღარ იყო, წამის რაღაც მცირე ნაწილში მივიღე გადაწყვეტილება, ამოვარჩიე ცოტა თუ ბევრად სწორი მინდორი და ზედ დავეშვი, — ხუთ მეტრში უზარმაზარი ხრამიდან. იმ დროს შიში არც კი მიგრძვნია. მხოლოდ შემდეგ მივხვდი, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

მაშინ მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ მანქანა ვიხსენი, გავუფრთხილდი მრავალი ადამიანის ნაშრომს. შემდეგ, როცა ვემზადებოდი კოსმონავტობისათვის, საფრენოსნო მეცადინეობის ის შემთხვევა ისევ გამარჯვებული უფრო ძლიერი ხდება როცა სიძნელის წინაშე დავდექი. („კოსმოსური გაფრენისათვის მომზადება დაკავშირებულია შეუპოვარ შრომასთან“) მე ვიგონებდი ამ ეპიზოდს და ვფიქრობდი, რომ თუ მე კვლავ აღმოვჩნდებოდი ასეთ მდგომარეობაში, მოვიქცეოდი ზუსტად კვლავ ისე, როგორც საფრენოსნო მეცადინეობის დროს.

როგორ აღვზარდოთ თავის თავში ვაჟკაცობა?

შეუძლებელია ამ საქმეში რაიმე უნივერსალური რეცეპტის მიცემა. ჩემი აზრით ასეთი რეცეპტი საერთოდ არ არსებობს. უბრალოდ, საჭიროა თავისთავში ბავშვობიდანვე ისეთი თვისებების გამომუშავება, როგორიცაა ნებისყოფის ძალა, შეუპოვრობა დასახული მიზნის მიღწევაში, სიმტკიცე და ამტანობა. რა თქმა უნდა, საჭირო არაა თავის თავს შევუქმნათ ხელოვნური დაბრკოლებები, რომ მათზე გამოვიმუშაოთ საკუთარი ხასიათი...

ვისწავლოთ ვაჟკაცობა, — ეს ნიშნავს — ვისწავლოთ იმ სიძნელეთა გადალახვა, რომელთაც თვითონ ცხოვრება აყენებს...

ივანე პაპანინი

საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, არქტიკის გამოჩენილი მკვლევარი, პირველი მოდრეიფე სადგურის ხელმძღვანელი.

არ მიყვარს მყვირალა სიტყვები. არ მიყვარს, როცა ჩვენზე ლაპარაკობენ ძალიან მაღალფარდოვნად. აი, გმირები, ყინულოვანი არქტიკის დამპყრობნი — მკაცრ ბუნებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამარჯვებულნიო.

მე მგონია, რომ ვაჟკაცობა თავისი ბუნებით ძალიან ყოველდღიურია, ჩვეულებრივია. ის გამოვლინდება წვრილმანებში, ძალიან მოულოდნელ მომენტებში... და როცა მთხოვენ მოვუთხრო სიძნელეების შესახებ, რომელთა გადალახვა მომიხდა, მაგონდება ერთი კომიკური ეპიზოდი...

ყინულზე ჩვენი დრეიფის დროს, ტექნიკური საჭიროებისათვის, აუცილებელი გახდა სპირტი. იგი ჩვენ არ გვქონდა. მოინახა მხოლოდ კონიაკი, სომხური, უმაღლესი ხარისხისა. და ასე, მე, როგორც ყოფილ ხარატს, მომიხდა თვითმხდელი აპარატის მოწყობა, რათა კონიაკისაგან ტექნიკური სპირტი გამომეხადა. ყინვა კი 50 გრადუსამდის აღწევდა. იმისათვის, რომ შემეწირა მეცნიერებისათვის, ვაჟკაცობა მომეთხოვებოდა. ეს რა თქმა უნდა, ხუმრობაა, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, მოდრეიფე ყინულზე მთელი ჩვენი ცხოვრება, როგორც დიდი ისე პატარა სიძნელეების გადალახვისაგან შედგებოდა. იყო ჩვენს ცხოვრებაში ბევრი კრიტიკული მომენტი, როცა მაგალითად ყინული გაიხსნა და ჩვენ მღელვარე ოკეანეში ყინულის პატარა ნაგლეჯზე დავრჩით. აი, აქ დაგვჭირდა მთელი ჩვენი ნებისყოფის ძალა, ამტანობა, გამძლეობა და თავის თავის ფლობა.

ამის შემდეგ თითქმის მთელი 30 წელი გავიდა. დრო შეიცვალა. ახლა ჩრდილოეთ პოლუსზე ფრენა ისე ადვილია, როგორც, ვთქვათ, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე. ყოველდღიურად იგზავნება რამდენიმე ექსპედიცია როგორც ჩრდი-